رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

ქართული | جورجي | صِفَةُ العُمْرَةِ

უმრას ფორმა

ავტორი
აბდულ-აზიზ ბინ აბდულლაჰ ბინ ბაზ

صِفَةُ العُمْرَةِ

უმრას ფორმა

سَمَاحَةُ الشَّيْخِ

عَبْدِ الْعَزِيزِ بْنِ عَبْدِ اللَّهِ بْنِ بَازٍ

رَحِمَهُ اللَّهُ

ავტორი

აბდულ-აზიზ ბინ აბდულლაჰ ბინ ბააზ

بِسْمِ اللهِ الرَّحمَنِ الرَّحِيمِ

უმრას ფორმა

ავტორი

აბდულ-აზიზ ბინ აბდულლაჰ ბინ ბაზ

ქება-დიდება ალლაჰს, ერთადერთს, დალოცვა და მშვიდობა მის მონას და შუამავალს, და შემდეგ,

მოკლე გზავნილი უმრას რიტუალების შესახებ და მკითხველისთვის ამის განმარტება ასეთია:

1. როდესაც ადამიანი, რომელიც აპირებს უმრას შესრულებას, მიადგება მიიყათს, სასურველია, რომ იგი განიბანოს (გაკეთოს ღუსლი) და გაიწმინდოს. ასე უნდა მოიქცეს ქალიც, თუნდაც იგი იყოს მენსტრუაციის ან ნიფასის (მშობიარობის შემდგომი სისხლდენის) მდგომარეობაში. თუმცა, მას ეკრძალება ტავაფის (ქააბის ირგვლივ შემოვლის) შესრულება მანამ, სანამ არ განიწმინდება და არ განიბანება.

კაცს შეუძლია მოიპკუროს სუნამო სხეულზე,

მაგრამ არა იჰრამის ტანსაცმელზე. თუ მას მიიყათთან დიდი განბანვის შესრულების შესაძლებლობა არ აქვს — ეს არ არის ცოდვა. თუმცა სასურველია, რომ მექქაში ჩასვლისას, ტავაფის დაწყებამდე, შეძლებისდაგვარად განიბანოს.

კაცი იძრობს მთელ შეკერილ ტანსაცმელს და იცვამს იზარსა და რიდას, სასურველია, რომ ეს ნაჭრები იყოს თეთრი და სუფთა.

ქალი იჰრამში შედის თავის ჩვეულებრივ ტანსაცმელში, ის არ უნდა იყოს მორთული, ყურადღების მიმპყრობი, ვიწრო ან გამჭვირვალე.

შემდეგ კაცი გულში განიზრახავს, რომ შევიდეს უმრას შესრულების მიზნით და ენით ამბობს: „ლაბბაიქა უმრათან“ ან „ალლაჰუმმა ლაბბაიქა უმრათან“. თუ მუჰრიმი შიშობს, რომ ვერ შეძლებს რიტუალის შესრულებას ავადმყოფობის, მტრის შიშის ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო, შარიათით ნებადართულია, რომ იჰრამში შესვლისას გააკეთოს პირობა და თქვას:

«فَإِنْ حَبَسَنِي حَابِسٌ، فَمَحِلِّي حَيْثُ حَبَسْتَنِي».

«თუ რაიმე შემაკავებს, მაშინ ჩემი გამოსვლა იჰრამიდან იქნება იქ, სადაც შემაკავეს» დუბაა' ბინთ ზუბაირის, ალლაჰი იყოს კმაყოფილი მისით, ჰადისი[1].

შემდეგ წარმოთქვამს თალბიას ისე, როგორც ამას მოციქული მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ამბობდა, და ეს არის:

«لَبَّيْكَ اللَّهُمَّ لَبَّيْكَ، لَبَّيْكَ لا شَرِيكَ لَكَ لَبَّيْكَ، إِنَّ الْحَمْدَ وَالنِّعْمَةَ لَكَ وَالْمُلْكُ، لا شَرِيكَ لَكَ»

«შენ წინაშე ვარ, ო ალლაჰ, შენს წინაშე ვარ! შენსწინ ვარ, შენ არ გყავს თანამოზიარე, შენს წინ ვარ! უდიდესი ქება, წყალობა და მეუფება შენ გეკუთვნის, შენ არ გყავს თანამოზიარე». მან ხშირად უნდა წარმოთქვას ეს თალბია, ასევე ხშირად ახსენოს დიდებული ალლაჰი და ილოცოს, სანამ არ მივა ქააბასთან.

(კაცები ხმამაღლა წარმოთქვამენ, ხოლო ქალები – დაბალი ხმით, როგორც ეს გააკეთეს საჰაბეებმა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი)

როცა მლოცველი მიაღწევს ქააბას, წყვეტს

[1] ალ-ბაიჰაყის ას-სუნან ალ-ქუბრა ნომრით (10117).

თალბიას თქმას, შემდეგ მიდის შავი ქვისკენ, დგება მის წინ, ეხება მას მარჯვენა ხელით და კოცნის, თუ ამის შესაძლებლობა ექნება, ისე რომ ხალხს არ ავნოს. შეხებისას ამბობს: „ბისმილლაჰ, ვა ალლაჰუ აქბარ“. თუ კოცნა გაუჭირდება, შეეხება ხელით, ჯოხით ან მსგავსი რამით და აკოცებს იმას, რითაც შეეხო. თუ შეხებაც გაუჭირდება, მიანიშნებს მისკენ და ამბობს: „ალლაჰუ აქბარ“, მაგრამ არ კოცნის იმას, რითაც მიუთითა.

ტავაფის სწორად შესრულებისთვის აუცილებელია, რომ მლოცველი იყოს სუფთა მდგომარეობაში, როგორც მცირე, ისე დიდი უწმინდურობისგან განბანილი, რადგან ტავაფი ლოცვას ჰგავს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ტავაფისას საუბარი ნებადართულია.

მლოცველი ტოვებს ქააბას მარცხენა მხარეს და ტრიალებს მის ირგვლივ შვიდჯერ. როცა მიადგება იემენურ კუთხეს, შეეხოს მას მარჯვენა ხელით, თუ შეძლებს და თქვას: "ბისმილლაჰ ვა ალლაჰუ აქბარ", მაგრამ არ აკოცოს მას. თუ

შეხება გაუჭირდება, გაუშვას და განაგრძოს ტავაფი ისე, რომ არ ანიშნოს მასზე და არ თქვას „ალლაჰუ აქბარ“, რადგან ასეთი რამ შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ გადმოცემულა.

რაც შეეხება შავ ქვას, ყოველ ჯერზე, როცა მის წინ ჩაივლის, შეეხოს და აკოცოს მას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. ხოლო თუ ამას ვერ შეძლებს — მიანიშნოს მისკენ და თქვას "ალლაჰუ აქბარ". სასურველია, რომ კაცი მისვლის ტავაფის პირველი სამი წრის დროს გააკეთოს რამლი, რაც ნიშნავს სწრაფ სიარულს მოკლე ნაბიჯებით. ეს რჩევა მხოლოდ კაცებს ეხებათ.

ასევე სასურველია, რომ კაცმა მისვლის ტავაფის ყველა წრეში გააკეთოს იდტიბა‘ — რაც ნიშნავს მარჯვენა მხრის გამოჩენას, ისე რომ იჰრამის ზედა ნაწილი გადაყვანილი აქვს მარჯვენა მკლავის ქვეშ და გადაფარებული მარცხენა მხარზე. იდტიბა‘ ნიშნავს: როდესაც პილიგრიმი თავისი იჰრამის ზედა ნაწილის (რიდას) შუა ნაწილს ატარებს მარჯვენა იღლიის

ქვემოდან, და ორივე ბოლო გადაჰყავს მარცხენა მხარზე — ისე, რომ მარჯვენა მხარი გახდილი რჩება, ხოლო მარცხენა დაფარულია.

სასურველია ტავაფის ყველა წრეში გაახშიროს ზიქრი დიდებული ალლაჰის და დუა იმ სიტყვებით, რაც გაუადვილდება.

ტავაფის დროს არ არსებობს განსაზღვრული, სპეციფიური დუა ან ზიქრი. მლოცველმა უნდა გააკეთოს დუა და ზიქრი იმ სიტყვებით, რაც მისთვის იოლია. ხოლო ორ კუთხეს (იემენურსა და შავ ქვას) შორის ამბობს:

﴿...رَبَّنَآ ءَاتِنَا فِي ٱلدُّنۡيَا حَسَنَةٗ وَفِي ٱلۡأٓخِرَةِ حَسَنَةٗ وَقِنَا عَذَابَ ٱلنَّارِ﴾

«ღმერთო ჩვენო, მოგვმადლე სიკეთე ამქვეყნად და სიკეთე – იმქვეყნადაც, და დაგვიფარე სატანჯველისგან ცეცხლისა» [ალ-ბაყარა: 201]. ყოველ წრეში (ამბობს ამას), რადგან ეს მტკიცედ გადმოცემულია შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას).

მეშვიდე წრეზე მთავრდება შავი ქვის შეხებით და კოცნით, თუ ამის შესაძლებლობა აქვს, ან მისკენ მინიშნებითა და თაქბირების

თქმით, როგორც ზემოთ იყო განმარტებული. ტავაფის დასრულების შემდეგ კაცი იცვამს ზედა ნაჭერს ისე, რომ იგი იყოს გადაფარებული ორივე მხარზე და მისი ბოლოები გადმოსდიოდეს მკერდზე.

ტავაფის დასრულების შემდეგ სასურველია ორ რაქათიანი ლოცვის შესრულება მაყამ იბრაჰიმის უკან, თუ ამის შესაძლებლობა ექნება. ხოლო თუ ვერ შეძლებს — ის აღავლენს ამ ორ რაქათს მეჩეთის ნებისმიერ ადგილას. ამ ორ რაქათში ალ-ფათიხას შემდეგ კითხულობს:

﴿قُلۡ يَـٰٓأَيُّهَا ٱلۡكَـٰفِرُونَ ١﴾

{უთხარი: ჰეი, ურწმუნოებო}, ალ-ქააფირუუნ: პირველ რაქაათში და

﴿قُلۡ هُوَ ٱللَّهُ أَحَدٌ ١﴾

"თქვი: იგია, ალლაჰი ერთადერთი! [ალ-იხლას: 1] მეორე რაქათში კითხულობს მეორე სურას, რაც საუკეთესოდ მიიჩნევა. თუმცა, თუ სხვა სურას წაიკითხავს პრობლემა არ არის. შემდეგ, როცა დაასრულებს ამ ორ რაქათს სალამით, მიემართება შავ ქვას და, თუ შეძლებს,

შეეხება მას მარჯვენა ხელით. სუნნაა ტავაფის ორი რაქათის ლოცვის შემდეგ ზამზამის წყლის დალევა, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს.

შემდეგ მლოცველი გამოდის საფაზე, ადის მასზე (თუ შეძლებს), ან დგება მის მახლობლად — ასვლა უფრო სასურველია, თუ ამის შესაძლებლობა აქვს. იწყებს საფათი და ამბობს დასაწყისში: ვიწყებთ იმით, რითაც ალლაჰმა დაიწყო, და კითხულობს უზენაესი ალლაჰის სიტყვებს:

﴿إِنَّ ٱلصَّفَا وَٱلۡمَرۡوَةَ مِن شَعَآئِرِ ٱللَّهِۖ... ﴾

{უეჭველად, ას-საფა და მარვა ალლაჰის ნიშნებიდანაა} [ალ-ბაყარა: 158].

როგორც მოიქცა მოციქული ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას. შემდეგ მლოცველი აკეთებს დუას და ადიდებს ალლაჰს სამჯერ.

"اللهُ أَكْبَرُ اللهُ أَكْبَرُ، لَا إِلٰهَ إِلَّا اللهُ، اللهُ أَكْبَرُ اللهُ أَكْبَرُ وَلِلَّهِ الْحَمْدُ، لَا إِلٰهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ لَا شَرِيكَ لَهُ، لَهُ الْمُلْكُ وَلَهُ الْحَمْدُ وَهُوَ عَلَىٰ كُلِّ شَيْءٍ قَدِيرٌ، لَا إِلٰهَ إِلَّا اللهُ وَحْدَهُ أَنْجَزَ وَعْدَهُ، وَنَصَرَ عَبْدَهُ، وَهَزَمَ الْأَحْزَابَ وَحْدَهُ".

«ალლაჰუ აქბარ, ალლაჰუ აქბარ! არ არსებობს ღვთაება ალლაჰის გარდა. ალლაჰუ აქბარ,

ალლაჰუ აქბარ და მხოლოდ ალლაჰს ეკუთვნის ქება-დიდება. არ არსებობს ღვთაება, გარდა ერთადერთი ალლაჰისა, რომელსაც არ ჰყავს თანამოზიარე. მას ეკუთვნის მეფობა და მასვე ეკუთვნის ქება, და ის ყოვლისშემძლეა. არ არსებობს ღვთაება, გარდა ერთადერთი ალლაჰისა, მან აღასრულა თავისი დაპირება, დაეხმარა თავის მონას და მხოლოდ მან დაამარცხა მტრების გაერთიანებები»[1]. შემდეგ მლოცველი ამბობს დუას იმ სიტყვებით, რაც შეუძლია, და შემდეგ სამჯერ იმეორებს ზიქრსა და დუას, ასე იყო შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) სუნნა, ყიბლას მიმართ მოტრიალებულ მდგომარეობაში. ამის შემდეც ჩამოვა მაღლობიდან და გაეშურება მარვას გორაკისკენ, სანამ პირველ ნიშანს არ მიაღწევს, როცა მიაღწევს პირველ ნიშანს მამაკაცები აუჩქარებენ სვლას, სანამ მეორე ნიშანს არ მიაღწევენ.

რაც შეეხება ქალს, მისთვის არ არის დადგენილი სა'იში დაჩქარება, რადგან ამის საფუძველი არც შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰადისებში ჩანს და არც ამას

[1] გადმოსცა მუსლიმმა (1218).

აკეთებდნენ ქალები, და რადგან ქალი დაფარულია. შემდეგ მლოცველი მიდის მარვაზე, ადის მასზე ან ჩერდება მის მახლობლად — ასვლა უფრო სასურველია, თუ შეძლებს.

მარვაზე ამბობს და იქცევა ისე, როგორც ეს გააკეთა საფაზე,

(გარდა იმისა, რომ აღარ აკეთებს დუას და აღარ ამბობს: "ვიწყებთ იმით, რითაც ალლაჰმა დაიწყო". ასე მოქმედებს შვიდჯერ — ერთი გავლა ითვლება ერთ წრედ და დაბრუნებაც ითვლება ერთ წრედ. ვისაც სა'ის შესრულება ცხენით ან რაიმე სატრანსპორტო საშუალებით სჭირდება პრობლემად არ ითვლება, განსაკუთრებით აუცილებლობის შემთხვევაში.

სასურველია, რომ სა'ის შესრულებისას ხშირად მოიხსენიოს ალლაჰი და აკეთოს ზიქრი, მისთვის შესაძლებელი სიტყვებით და იმყოფებოდეს სუფთა მდგომარეობაში როგორც მცირე, ისე დიდი უწმინდურობისგან განბანილი.

და თუ სა'ი შეასრულა არა სუფთა მდგომარეობაში ეს მაინც ჩაეთვლება. როცა სა'ი დასრულდება, კაცი ან სრულად იპარსავს თმას თავზე, ან მთლიანად შეიჭრის, ხოლო პარსვა უპირატესად ითვლება.

თუ მისი მექქაში ჩასვლა ახლოს არის ჰაჯობის დროსთან, მისთვის უპირატესია თმის დამოკლება და არა პარსვა, რათა ჰაჯობის დროს შეძლოს დარჩენილი თმის გაპარსვა.

ქალი კი იკრავს თმას და აჭრის მას იმდენს, რამდენსაც ფრჩხილის წვერი შეადგენს ან ნაკლებს. როცა მუჰრიმი ზემოთხსენებულ ქმედებებს შეასრულებს — მისი უმრა დასრულებულად ითვლება, ქება დიდება ალლაჰს.

და მისთვის ნებადართული ხდება ყველაფერი, რაც იჰრამის მდგომარეობაში აკრძალული იყო. მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) არ აღავლენდა ორ რაქათიან ლოცვას უმრას დასრულების შემდეგ, ამიტომ ვინც ეს სურს, დაე მოიქცეს ისე, როგორც მან

მოიქცა.

﴿لَّقَدۡ كَانَ لَكُمۡ فِي رَسُولِ ٱللَّهِ أُسۡوَةٌ حَسَنَةٞ لِّمَن كَانَ يَرۡجُواْ ٱللَّهَ وَٱلۡيَوۡمَ ٱلۡأٓخِرَ وَذَكَرَ ٱللَّهَ كَثِيرٗا ٢١﴾

{ვფიცავ, კარგი მაგალითი იყო თქვენთვის ალლაჰის შუამავალში, იმათთვის, ვინც ისწრაფვოდა ალლაჰისკენ და უკანასკნელი დღისკენ და ხშირად ახსენებდა ალლაჰს!} [ალ-აჰზაბ: 21].

ალლაჰმა მოგვცეს ჩვენ და ჩვენს მუსლიმ ძმებს რელიგიის ღრმა გაგება, მასზე მტკიცედ დგომა და ჩვენგან ყველასი საქმეების მიღება. მართლაც, ის არის უხვი და კეთილმოქმედი.

ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მის მსახურს და შუამავალს, ჩვენს მოციქულ მუჰამმადს, მის ოჯახს, მის საჰაბებს და მასზე სიკეთით მიმყოლთ.

საუდის არაბეთის სამეფოს ყოფილი მთავარი მუფთი, მმართველი სწავლულების საბჭოსა და სამეცნიერო კვლევებისა და ფეთვების კომიტეტის თავმჯდომარე — აბდულაზიზ ბინ აბდულლაჰ ბინ ბაზ, ალლაჰმა შეიწყალოს ის.

حرمين

رئاسة الشؤون الدينية
بالمسجد الحرام والمسجد النبوي

رسالة الحرمين

Message of The Two Holy Mosques

Guidance content for the visitors of the Holy Mosque and the Prophet's Mosque in languages.